კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rs.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 02 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

www.rs.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
27,27%
46,33%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
52,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
46,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
37,93%
19,05%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
4,55%
17,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
46,15%
38,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამსახურის სტრუქტურა“ მოცემულია სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის მხოლოდ სახელები და გვარები:

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილე“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, სამსახურის მოქმედი დებულების თანახმად სამსახურის უფროსი იმავდროულად არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. სასურველია ხსენებულთან დაკავშირებით, გაკეთდეს აღნიშვნა.

ამასთან, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ შტატით გათვალისწინებული არის ორი მოადგილე, თუმცა, ამ ეტაპზე მოქმედია მხოლოდ ერთი

მოადგილის - ლილი ბეგიაშვილის თანამდებობა, ხოლო პირველი მოადგილის პოზიცია ვაკანტურია; სასურველია, აღნიშნულთან დაკავშირებით მოცემული იყოს შესაბამისი ინფორმაცია მეორე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის", ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა" ან *მისთ.*

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. არ მოიძიება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტელეფონის ნომერი, სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) და ფაქსის ნომერი.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი" არსებული ქვე-განყოფილება სათაურად „სერვის ცენტრები" იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასახელება:



6. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია", სადაც განთავსდებოდა სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

ამასთან, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამსახური წარმოადგენს საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს, სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ხსენებულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია.

7. ვებ-გვერდზე არ მოძიება სამსახურის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების აღწერა. აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“, არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამსახურის სტრუქტურა“ განთავსებულია სამსახურის სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე), თუმცა, მასზე მოცემულია სამსახურის უფროსის ორი მოადგილის სახელი და გვარი:



ხოლო, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ შტატით გათვალისწინებული არის ორი მოადგილე, თუმცა, ამ ეტაპზე მოქმედია მხოლოდ ერთი მოადგილის - ლილი ბეგიაშვილის თანამდებობა, ხოლო პირველი მოადგილის პოზიცია ვაკანტურია; სასურველია, ხსენებულთან დაკავშირებით სტრუქტურულ ხეზე გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2011 კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, მომსახურების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საგარეო ვაჭრობის, საგადასახადო და სხვ. შესაბამისი სტატისტიკები, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ნაერთი ბიუჯეტის პროექტები და სამსახურის ხარჯთანუსხის შესრულების პერიოდული ანგარიშები) *და ა.შ.*

არ მოიძიება, აგრეთვე, დავების დეპარტამენტის მიერ მომზადებული საგადასახადო შეთანხმებების პროექტები, პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტები; მომსახურების დეპარტამენტის მიერ წარმოებული აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების უწყებრივი სანებართვო რეესტრი, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის უწყებრივი სანებართვო რეესტრი და ასევე, სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი; ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ფარმაცევტული პროდუქტის საგადასახადო აღნისხვის ფორმები და სისტემატიზირებული მათი ელექტრონული ვერსიები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ელ.სერვისები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „განცხადების ფორმები“ განთავსებულ სერვისების სიაში მოცემული ბმული, სახელწოდებით - „სხვადასხვა“ არ იხსნება:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

11. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“ განთავსებულია სამსახურის საქმიანობის ერთადერთი 2010 წლის ანგარიში, სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთე სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები:

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. (სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ სამსახურის საქმიანობის ამსახველ 2010 წლის ანგარიშში);

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სასმახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები, მათ შორის საგადასახადო ადმინისტრირების შიდა ევროპული ორგანიზაციისა (IOTA) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებულია ერთადერთი სამართლებრივი აქტი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიმოხილვა/გარჩევა ვიდეო რგოლების მეშვეობით, თუმცა, სასურველია ამავე განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე,

სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები (მათ შორის სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციებისა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი აქტები), უფროსის მიერ ინდივიდუალური ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის წესი, სამსახურის შინაგანაწესი, სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის აღწერილობა, თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სასურველია აგრეთვე, მოიძიებოდეს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ მომზადებული ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები, სამსახურში სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები; დავების დეპარტამენტის მიერ მომზადებული კანონმდებლობის სრულყოფაზე შესაბამისი ნორმატიული აქტები, აუდიტის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული კანონმდებლობის სრულყოფაზე შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები. აგრეთვე, სამსახურის მიერ მომზადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სამსახურის დებულება და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შემოსავლების სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;

- საქართველოს შრომის კოდექსი;

- საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ელ.სერვისები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „განცხადების ფორმები“ განთავსებულია რამდენიმე სერვისის სახეობის, კერძოდ ბინგოს, სათამაშო ბიზნესის, სამორინეს და ტოტალიზატორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის ფორმები:





აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისა და მიღების მოდული, საქართველოს ოფიციალურ ელექტრონულ სივრცეში ჯერ-ჯერობით ერთადერთი მაგალითია. *ეს ნამდვილად მისასალმებელი და აღსანიშნავი ფაქტია,*

თუმცა სასურველია შეიქმნას ცალკეული განყოფილება, სადაც არსებული მოდულის გამოყენებით მომხმარებელს საშუალება ექნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ღია საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მიღება.

სასურველია შესაქმნელ განყოფილებაში, აგრეთვე, მოცემული იყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ადმინისტრაციული საჩივრისა ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები:

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/infostatistics_shemosavlebi_.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე)-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველი კვარტლის (სამი თვე) ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/balansi_.pdf);*

- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის*

მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasipremia_shemosavlebi.pdf

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
33,33%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42,11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
58,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
46,15%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ძიება**

უშედეგო ძიების აღნიშვნა ვებ-გვერდზე მეორდება::



ასევე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფორმით შეტყობინების გამოტანა არ არის გამართლებული მეთოდი, რადგან ზოგიერთ ბრაუზერში ამ მეთოდს არ აქვს ქართული უნიკოდის მხარდაჭერა.

ვებ-გვერდის ძიების მოდული არაეფექტურად მუშაობს. ხანდახან საძიებო სისტემა ვერ პოულობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ელ.რესურსზე აშკარად არის განთავსებული. ზოგ შემთხვევაში გამოაქვს რამდენიმე იდენტური შეტყობინება:



სისტემა ზოგიერთ საკვანძო სიტყვას ეძებს მხოლოდ „კითხვა პასუხის“ განყოფილებაში და არა მთლიანად ვებ-გვერდზე:



თავისუფლდება თუ არა საშემოსავლო გადასახადისაგან საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ბინის ან/და მიწის ნაკვეთის ღირებულება?

საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა

ფიზიკური პირის მიერ, ფინანსური ლიცენზირებული ინსტიტუტებიდან მიღებული პროცენტები ექვემდებარება თუ არა გადახდის წყაროსთან დაბეგვრას?

ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი. (მუხლი 131-5)

როდის უნდა მოხდეს საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკის ამობეჭდვა?

გადამხდელის მიერ ჩეკის ამობეჭდვა და გაცემა ხდება მისთვის ნაღდი ფულის გადახდისთანავე ან/და მის მიერ ხურდის დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორ

იბეგრება თუ არა სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება?

2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაშ

ვის შეიძლება მიეწიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი?

ამავე დროს, მოძიებულ შედეგებში, ბმულებზე გადასვლით, ვებ -გვერდზე ერთდროულად გამოდის არასორტირებული ინფორმაციის საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რაც შეუძლებელს ხდის მის სათანადო აღქმას და იმის გარკვევას, თუ სად მოვხვდით და არის თუ არა ამ ჩამონათვალში ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია:



ძიების მოდულში, ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, მომხმარებელს ქართული ფონტის გამოყენება ავტომატურად უნდა შეეძლოს. ასევე მომხმარებელს საშუალება უნდა ქონდეს, თავად აირჩიოს რომელი უნიკოდის გამოყენება სურს: ქართულის თუ ლათინურის:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ზოგიერთ გვერდზე საერთოდ არ არის ინფორმაცია, თუ ვებ-გვერდის რომელ განყოფილებაში ვიმყოფებით:



ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში გვხვდება ქართული ტექსტები და ბანერები:





- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ზოგიერთი გვერდის გაზიარება ან გავრცელება შეუძებელია, რადგან მისი მისამართი არ აღიბეჭდება URL-ში (ბრაუზერის ჩასაწერ ველში):



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის სიახლეების მოდულს აქვს ფუნქცია: „იხილეთ მეტი“, რომელსაც შედეგების დაბლა გამოაქვს ახალი სიახლეები, თუმცა თუ მეტი სიახლე აღარ დევს ვებ-გვერდზე ეს ღილაკი მაინც რჩება თავის ადგილზე:



ვებ-გვერდს აქვს პატარა ხარვეზები, მაგალითად ერთ-ერთი მოდული რომელიც ახდენს დინამიურად ინფორმაციის გამოტანას, არასწორად ფუნქციონირებს, მას გამოაქვს ცარიელი სივრცე, რომელიც არ უნდა გამოიტანოს:



ვებ-გვერდს სერიოზული პრობლემა აქვს სხვადასხვა ბრაუზერებში იდენტურად მუშაობის. მაგალითად Firefox-ის სხვადსხვა ვერსიაში ვებ-გვერდის ფუნქციები სხვადასხვანაირად მუშაობს, ასევე ზოგი ფუნქცია მხოლოდ Opera-ში ფუნქციონირებს. ვებ -გვერდის ტესტირება ამ მიმართულებით აუცილებელია, რადგან ვებ-გვერდი ყველა ძირითად ბრაუზერში გამართული უნდა მუშაობდეს:



- **ონლაინ სერვისები**

სასურველია პირველ გვერდზე არსებული გადმოსაწერი ფაილი ვებ-გვერდშივე იყოს ინტეგრირებული, რათა მოხდეს მისი მარტივი მოძიება:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის ელექტრონულ სერვისების გამოყენებით შესაძლებელია ელ.გადახდების წარმოება, ამავე დროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისის გამოყენებით ხდება მნიშვნელოვანი კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციული ნაკადების ურთიერთგაცვლა. ამ შემთხვევაში ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა ქონდეს HTTPS პროტოკოლის მხადაჭერა, რათა ვერავინ შეძლოს შესაბამისი ინფორმაციული ნაკადის „დაჭერა" და მისი გაშიფვრა:



ვე-გვერდზე დაშვებულია მნიშვნელოვანი პროგრამული შეცდომა. ვებ-გვერდი არ ფილტრავს, გადაცემულ ცვლადებს, ხელოვნურად შეცვლილი მოთხოვნის შედეგად სერვერზე ფიქსირდება პროგრამული შეცდომები რაც შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ვებ-გვერდისთვის:



- **დამატებითი პარამეტრები**

შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდებისთვის დამახასიათებელი დომენური დაბოლოება gov.ge. ამ შემთხვევაში rs.ge-ის ალტერნატიული მისამართი უნდა იყოს - www.rs. gov.ge: